

გამარჯვება და მისი ავტორები

თბილისი. "დინამოს" სტადიონი. 23 აგვისტო.

"დინამო" (თბილისი) – "მახტიორი" (სტალინო) 4:0 (2:0).

"მახტიორი": ლემეშკო, მოტინი, ნოსოვი, ალიაბიევი, ნეჟურკო, როსიხინი, ბობოშკო, კოლცოვი, ფედოსოვი, ზახაროვი, პონომარენკო (საველიევი).

"დინამო": კოტრიკაძე, ჩოხელი, თორაძე, ხოჭოლავა, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მელაშვილი, ბარქაია (გაგნიძე), კალოევი, ლოლობერიძე, მესხი.

მსაჯი ს. შევცოვი (მოსკოვი).

მაშ ასე, მოგებულია საკავშირო ჩემპიონატის კიდევ ერთი მატჩი, რიგით მეექვსე. რა თქმა უნდა, შეხვედრა სტალინოს "მახტიორთან" არ მიეკუთვნება ე.წ. "ძნელი" კატეგორიის მატჩებს, როცა გამარჯვებისა თუ დამარცხების საკითხი სასწორზე დგას და მისი გარკვევა წინასწარ თითქმის შეუძლებელია. "მახტიორთან" მატჩის მოგება ჩვენს გუნდს არასოდეს გასჭირვებია, მაგრამ ახლა, როცა თბილისის "დინამო" დიდი პროგრესის გზაზე დგას, მთავარია შენარჩუნებულ იქნას თამაშის ხარისხი, მოთამაშეთა ფორმა, შეთამაშება, საერთო ანსამბლი, შენარჩუნებულ იქნას გუნდის საბრძოლო სული და ნებისყოფა. მაშინ ლაპარაკი გვექნება არა "მახტიორთან" 2 ქულის აღებაზე, არამედ გაცილებით დიდ და ღირსეულ პერსპექტივებზე.

საბედნიეროდ, გუნდის ყველა წევრი ამჟამად საუკეთესო ფორმაშია და ყოველ მათგანს დამსახურებული წვლილი შეაქვს კოლექტივის გამარჯვებაში. განვლილ მატჩში, მაგალითად, მეკარე კოტრიკაძეს მძიმე სამუშაო არ აწვა, მაგრამ ცალკეულ მომენტებში იგი საიმედოდ დარაჯობდა თავის პოსტს და ორი გამოზომილი ნახტომით ააცალა სახიფათო მომენტებში ბურთები ზახაროვსა და ბობოშკოს.

დადგინდა ურთიერთმოქმედება დაცვაში. ჩოხელი, თორაძე და ხოჭოლავა ყურადღებით ეთამაშებიან მათზე გაპიროვნებულ მოწინააღმდეგეებს და გარდა ამისა, არ იბნევიან მაშინ, როცა ფორვარდებში გადაადგილებანი ხდება. განვლილ მატჩში ასე მოძრაობდა მინდვრის მთელ სიგანეზე სტუმართა ცენტრალური თავდამსხმელი ფედოსოვი და შემდგომში სპეციალურად ამ დავალებით გამოყვანილი საველიევიც, მაგრამ "დინამოს" მცველები შეუცდომლად ერკვეოდნენ ყოველ შექმნილ სიტუაციაში. აღსანიშნავია, რომ ძველი საბრძოლო ფორმა დაიბრუნა მარცხენა მცველმა ხოჭოლავამ, რომელიც ერთხანს საგრძნობლად ჩამორჩებოდა პარტნიორებს.

კვლავ შესანიშნავად ითამაშეს ნახევარმცველებმა. ისინი მინდვრის შუაგულის ნამდვილი ბატონ-პატრონნი იყვნენ ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ყოველ მატჩში ეტყობა პროგრესი ზეინკლიშვილს, ხოლო თუ იამანიძემ მომავალშიც ასე ითამაშა – იგი თვალსაჩინო ადგილს დაიკავებს ქართული ფეხბურთის "ოქროს ფონდში".

თავდასხმაში ძირითადად გამთამაშებლის როლს ძველებურად ლოლობერიძე ასრულებს, რომელსაც შეტევაში დიდი მხარდაჭერა აქვს იამანიძის მხრივ, სულ უფრო მეტი სარგებელი მოაქვს მესხს, ვინაიდან იგი ნაკლებად აჩერებს ბურთს და

ცდილობს კარში დარტყმით ან დროული მიწოდებით დაამთავროს თავისი გარღვევები.

ერთგვარი დადლილობა ეტყობოდა კალოევს, თუმცა "საჰაერო ზონაში" კარის წინ იგი კვლავ უაღრესად სახიფათოა მეკარისათვის. ასეთივე დაქანცულობას იჩენს მეორე ტაიმში ბარქაია, მაგრამ პირველ ნახევარს იგი სრული დატვირთვით, ნაყოფიერად თამაშობს და როცა მის ნაცვლად მინდორზე გამოდის გაგნიძე, დანაკლისი არ იგრძნობა. ვეტერანი სრული ენერჯითა და სისწრაფით ებმება თამაშში. აქტიურად მოქმედებს მარჯვენა ფრთაზე მელაშვილი, რომელიც სულ უფრო გაბედულად და ხშირად მიმართავს თავის ძირითად იარაღს – კარში დარტყმას.

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ არის ნაკლოვანებებიც. პირველ ტაიმს გუნდი არ ატარებს სრული სიმძლავრით, თავდამსხმელები ისევ კარგავენ ხელსაყრელ მომენტებს, ნახევარმცველები ზოგჯერ ზედმეტი რისკით ერთობიან შეტევაში, დაცვაში შესამჩნევია ბურთის ნაჩქარევი მოგერიება და ა.შ. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ყველაფერი ამის გამოსწორების უნარი დღეს გუნდს შესწევს.

4 ბურთი დინამოელებმა თანაბრად გაანაწილეს ორივე ტაიმზე. ანგარიში ბრწყინვალე გარღვევის შემდეგ გახსნა იამანიძემ მე-10 წუთზე, ხოლო მცირე ხანს შემდეგ მისი გადაცემიდან მელაშვილმა ზუსტად გაიტანა მეორე გოლი – 2:0.

შესვენების შემდეგ კომბინაცია მელაშვილი-გაგნიძე-კალოევი დამთავრდა მესამე გოლით, ხოლო გონგის შემდეგ გაგნიძემ კარგად გამოიყენა კალოევის სწრაფი გადაცემა და ძლიერი დარტყმით გაგზავნა ბურთი კარში – 4:0.

ამავე გუნდების დუბლიორთა მატჩი დამთავრდა ფრედ – 0:0.

რ. ქორიძე.

“ლელო”, 25 აგვისტო, 1959 წ.

დამატებითი მონაცემები “სოვეტსკი სპორტიდან”